საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის - <u>ივერი აბაშიძის</u> შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**17**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული ოცისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

სახელი, გვარი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 31.07.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ივერი აბაშიძის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაწყებული, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში კანდიდატ ივერი აბაშიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

1. **კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით**

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ივერი აბაშიძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ივერი აბაშიძის შეფასება დაეყრდნო მის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; ანტიკორუფციული ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. ამასთან, ივერი აბაშიძის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში

მყოფმა პირებმა შეავსეს სპეციალური ფორმის რეკომენდაციები და კითხვარები. კანდიდატის შეფასებისას აგრეთვე გავითვალისწინე მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის დროს უშუალოდ კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებები.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის მიხედვით შეფასებისას მხედველობაში მივიღე, რომ ივერი აბაშიძის შესახებ გამოკითხული პირები და რეკომენდატორები მას დადებითად ახასიათებენ. კერძოდ, გამოარჩევენ მის პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას და სხვა პოზიტიურ თვისებებს. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ივერი აბაშიძეს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ის ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის გამო დაკისრებული ჯარიმები ივერი აბაშიძეს გადახდილი აქვს დროულად.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს**</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ როგორც პრინციპულ, დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებას, აღნიშნავენ, რომ არის პიროვნულად მტკიცე და ზეგავლენის მიმართ მედეგი. რაც შეეხება, პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა აღნიშნოს, რომ იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ივერი აბაშიძე თავდაჭერილია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული და კორექტული. გავითვალისწინე, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ მიმდინარეობს. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდება, რომ ივერი აბაშიძე დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე საქმისწარმოების ელექტრონული სამეიბო სისტემის მეშვეობით მოძიებულ იქნა ერთი სამოქალაქო საქმე, სადაც მოსარჩელე მხარე ივერი აბაშიძეა, დავის საგანი: უსრულოფლოფა სარჩელის აღძვრამდე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 31 დეკემბრის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა.

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის**</u> მიხედვით კანდიდატის პიროვნულ თვისებებს და პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ივერი აბაშიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით.

<u>**ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას,

რომ ივერი აბაშიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს მიმდინარე სესხები დადებითი საკრედიტო ისტორიით, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაცალიანება არ ერიცხება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შეესაბამება სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კანდიდატი **ივერი აბაშიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. **კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:**

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.

კერძოდ, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ივერი აბაშიძის შეფასებისას მხედველობაში მივიღე აღნიშნული კრიტერიუმის შემდეგი მახასიათებლები: სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის - ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების შესწავლით მიღებულ ინფორმაციასა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის**</u> მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე საჯარო მოსმენის დროს მის მიერ გამოვლენილი მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების სამართლის ცოდნის დონე და, აგრეთვე, - მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში შესაბამისი სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე.

კანდიდატის - ივერი აბაშიძის საჯარო მოსმენა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაიმართა 2025 წლის 28 აპრილს, რა დროსაც საბჭოს წევრებმა მას დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა. შეფასების პროცესში ასევე შესწავლილ იქნა ივერი აბაშიძის მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი გადაწყვეტილებები. კერძოდ, შესწავლილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 30 მარტის N2/39558-22 და 2022 წლის 29 სექტემბრის N2/17114-22 29 გადაწყვეტილებები.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების შესწავლისა და საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ის კარგად იცნობს საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. გასაუბრებისას დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო ვრცელი და არგუმენტირებული, რა დროსაც იშველიებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ივერი აბაშიძეს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის შვიდი წლისა და ექვსი თვის გამოცდილება და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ივერი აბაშიძეს აქვს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია.

კანდიდატის **<u>წერის უნარის</u>** შეფასებისას გავითვალისწინე მის მიერ საქმეთა განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები და მიმაჩნია, რომ ივერი აბაშიძე გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები შედგენილია მარტივი და გასაგები ენით.

კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს, დასაბუთებისას გამოყენებული აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები. ამასთან, შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ივერი აბაშიძე გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე თანმიმდევრულად, ნათლად და ლოგიკურად გადმოსცა საკუთარი აზრი.

<u>პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით</u> შეიძლება ითქვას, რომ ივერი აბაშიძე ძიზანდასახული, პრინციპული, საქმისადმი ერთგული, ემოციურად გაწონასწორებული, კეთილსინდისიერი, თავშეკავებული პიროვნებაა. აღსანიშნავია საქმეთა განხილვის თაობაზე სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის მიხედვით კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 95,3% შემთხვევაში, ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში მას დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 81,6% შემთხვევაში. კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (956 დღეში) დასრულებული აქვს 249 საქმე (დღეში საშუალოდ 0,3 საქმე).

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.

შესაბამისად მიმაჩნია, რომ ივერი აბაშიძე სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებს წარმატებით და კეთილსინდისიერად.

<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით</u> კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ ივერი აბაშიძეს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ივერი აბაშიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, ასევე ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში. ამასთან, ის იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

<u>პროფესიული აქტივობის</u> შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ივერი აბაშიძე აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

კერძოდ, ივერი აბაშიძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: 2023 წლის 31 მარტი - 2 აპრილი - ახალციხე (სასტუმრო „რაბათი ჯინო ველნესი"), ევროპის საბჭოს ოფისთან (CoE) თანამშრომლობით ევროპის სოციალურ ქარტიასთან დაკავშირებით მოსამართლეებისათვის დაგეგმილი სემინარი; 2023 წლის 28-30 ივნისი, კომპლექსი „ლოპოტა", სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე სამუშაო შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ორჯერ - 2019 წლის 5 ოქტომბერსა და 2022 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ივერი აბაშიძე არჩეულ იქნა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრად.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ **ივერი აბაშიძის** მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **90** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 31.07.2025